

ბარმენების ტრენინგი

07.05.2026 - 10.05.2026

ტრენინგის შესახებ

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ბარმენების ტრენინგი განკუთვნილია იმ მსმენელთათვის, რომლებიც უკვე დასაქმებული არიან მომსახურების სფეროში, კერძოდ, კვების ობიექტებში და სურთ, დროის მოკლე პერიოდში გააუმჯობესონ და დახვეწონ ბარმენის პროფესიის ცალკეული საკითხები.

ტრენინგის მსვლელობისას მსმენელები დადგენილი სტანდარტების მიხედვით, შეისწავლიან კლასიკური კოქტეილების მომზადების ძირითად მეთოდებს. ეცოდინებათ კოქტეილების რეცეპტები, სწორი მინოდების წესები, ცალკეული კოქტეილებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი, კოქტეილის მოსამზადებლად აუცილებელი ინსტრუმენტები, ძირითადი ალკოჰოლური სასმელების (არაყი, რომი, ჯინი, ტეკილა, ვისკი, კონიაკი) შექმნის ისტორია და მათ ბაზაზე შექმნილი კლასიკური კოქტეილების მომზადების სხვადასხვა ხერხები.

თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგის ხანგრძლივობაა 16 საათი. ჩატარდება ოთხი დღის განმავლობაში, ქ.ბათუმში.

განრიგი და ფორმატი

ტრენინგის ხანგრძლივობაა 16 საათი. ჩატარდება ოთხი დღის განმავლობაში, დღეში 4 საათი + ნახევარსაათიანი ლანჩის შესვენება

ტრენინგის განრიგი:

I დღე - ხუთშაბათი 07.05.2026 - 11:00-15:30

II დღე - პარასკევი 08.05.2026 - 11:00-15:30

III დღე - შაბათი 09.05.2026 - 11:00-15:30

IV დღე - კვირა 10.05.2026 - 11:00-15:30

პროგრამა

ბარმენების თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი

დღე I - 07 მაისი, 2026 წელი

- ბარის ორგანიზება, ფუნქციონირება და მოწყობილობა
- მომსახურების სტანდარტები და სერვისი: სტუმრების დახვედრა, მენიუს პრეზენტაცია, მირთმევის ტექნიკა, საჩივრებისა და კონფლიქტების მოგვარება
- აქტიური გაყიდვები: საშუალო გადასახადის გაზრდის მეთოდები, სასმელის შეთავაზების შესაძლებლობა
- ბარის ასორტიმენტი
- დღის გახსნა შემონმების ფურცელი და დღის დახურვა
- ბარის ტიპები, ალკოჰოლის წარმოშობის ისტორია, მიღების ძირითადი მეთოდები

დღე II - 08 მაისი, 2026 წელი

- ღვინის კულტურა. ღვინის კლასიფიკაცია. დეკანტაცია
- დეგუსტაციის წესები
- ღვინის ბარათის შედგენა
- ღვინის კერძებთან შეხამება
- კონიაკი - ბრენდი: სასმელის ისტორია, კონიაკის კლასიფიკაცია
- შამპანური - შექმნის ისტორია, დამზადების მეთოდები. კლასიფიკაცია. შამპანურის ბაზაზე შექმნილი კლასიკური კოქტეილები

დღე III - 09 მაისი, 2026 წელი

- ვისკი - სასმელის ისტორია. წარმოების ძირითადი ქვეყნები
- ირლანდიური/შოტლანდიური ვისკი
- რომი - ისტორია და ტრადიციები. რომის სტილები და კლასიფიკაცია. ძირითადი წარმოების ქვეყნები
- ტეკილა - წარმოების თავისებურებები. ტეკილას სახეობები და მისი კლასიფიკაცია
- ჯინი - შექმნის ისტორია. ჯინის სტილები და მათი განსხვავებები
- ვოდკა/ვოდკის სახეობები
- განსხვავება ვოდკასა და არაყს შორის

დღე IV - 10 მაისი, 2026 წელი

- კოქტეილის ისტორია
- კოქტეილის მომზადების მეთოდები და სწორად გამოყენება
- კოქტეილების კლასიფიკაცია, მომზადება/დეგუსტაცია